

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე

„ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში არსებული ორი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის“ და „სივრცული ინფორმაციის ცენტრის“ გაერთიანება ერთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, სახელწოდებით – „გარემოს ეროვნული სააგენტო“ ჩამოყალიბება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია სამინისტროს სისტემაში არსებული ორი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის“ და „სივრცული ინფორმაციის ცენტრის“ გაერთიანების ასახვა „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტის შესაბამისად „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში შედის ცვლილება და ყალიბდება ახლი რედაქციით. აღნიშნულ ქვეპუნქტში დაფიქსირებული იყო სამინისტროს სისტემაში არსებული ორი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. დღევანდელი მდგომარეობით ხდება მათი გაერთიანება და მათ ბაზაზე ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს ჩამოყალიბება. შესაბამისად დადგა აუცილებლობა მომზადებულიყო ზემოაღნიშნული კანონის პროექტი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდეს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება ფინანსურ გავლენას არ მოახდეს იმ პირობებზე რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან;

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებაში სახელმწიფოს, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებისა ან ექსპერტების მხრიდან მონაწილეობას ადგილი არ ჰქონია.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

კანონპროექტის შეფასება სხვა ორგანიზაციებისა თუ დაწესებულების მხრიდან არ მომხდარა.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.